№ 22. 30 იანვარი, შაბათი. 1866—1882 30 იანვარი, შაბათი. № 22.

რედაქცია
ტფილისი ბრიანსკოეს ქუჩაზე. ოქ. შუბრანსკის ხახლები-ს ქვეშ
ხელის-მოწერა
მიიღება თელავში „დროების“ რედაქციაში, ქუთაისში: ჭილაძის (ბერარდის) წიგნის მაღაზიაში. კარეშე ფოსტიერებისთვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дрозба“.
„დროების“ ფასი:
თელავის წლისა . . . 9 მან. ⁞⁞ სამის თვისა . . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. ⁞⁞ ერთის თვისა . . . 1 მან.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა
დიდი ასოებით, ერთზე 1 კაპ. [illegible] ერთზე ნახევარი კაპ., ნაკლებ [illegible] ზე მეტი.
თუ ხანგრძლივი შეთანხმება, რედაქციისა [illegible] ან შეთანხმებულებს [illegible] ფასებს. [illegible] ერთ ფურცელ [illegible] ფასტა.
განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.
ქუთაისში განცხადება შეიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.
ცალკეული „დროების“ ფასი [illegible].

არწრუნის თეატრში
კვირას, 31 იანვარს
ბენეფისი
ვ. მესხიევისა
ძართული დრამატიული დასის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:
თამარ
ბატონიშვილი
ისტორიული დრამა 5 მოქმედებად, რომანიდამ გადმოკეთ. ვ. მესხისაგან. ანტრაკტებში დაუკრავს ორკესტრი ბატ. დეკკერ-შენკის თაოსნობით.
ბილეთები ისყიდება თეატრის კასსაში.
დასაწყისი 7 ½ საათზ

რედაქციისაგან

«დროება - ივერიის» შარშანდელ ხელის-მომწერლებს გამოეცხადეთ ამას წინათ. რომ ჩვენი ალბომი ამ იანვრის დამლევს მზათ იქნება და ვისაც ერგება, დაურიგდებაო. როგორც ახლა აღმოჩნდა, საუბედუროთ, ცოტა ავჩქარებულვართ, რომ ამას ვაცხადებდით და ძალა-უნებური შეცდომა მოგვსლია ჩვენს დაჰირებაში: გუშინ მოგვიგიდა ჰეტერბურღიდამ დეპეშა ბ. ალ. ბერიძისაგან, რომლითაც გვაცნობებს, რომ ალბომის ნახატებისა და ტექსტის ბეჭდვამ ცოტა დაიგვიანაო, რადგან ზოგიერთი დაბრკოლება აღმოჩნდაო და კარგად გამოცემისათვის მოძეტებული მუშაობა დაგვჭირდაო,—და ამისგამო ალბომი თებერვლის დამლევამდინ ვერ დამზადდებაო.

ცოტა გვიან იყოს და კარგი იყოს,—ვთხოვთ ნუ დაგვემდურებიან ამისთვის ჩვენი ხელის-მომწერნი.

«დროების» ფელეტონი, 30 იანვარი.

ისარი

Тэма моя—дураки...
Байронъ.

ეეე, ამიყოლია, ბატონებო, მეც ქეეყანამ: საითკენაც არ მიიხედაეთ, გაზეთი გამოდის; რედაქტორები ერთმანერთის ჯიბრზე, კისრების მტვრეეთ, თავის გაზეთებს ფასებს უკლებენ. ავდექ, ყველას გაძოჯაერებული, და განვიზრახე უფასო გაზეთის გამოცემა... ამას რა სჯობიან: არა ვის არასა ესთხოვ წაკითხვის მეტსა. და იმედია, ყველა წაიკითხავს ჩემს კოპწია, ლამაზს და ამასთანავე შხამიანს „ისარს“,—დასწყეველოს ღმერთმა, რად არის ყველა ლამაზი მასთანავე შხამიანიც!?

თუ დაშხამავს ვისმეს—ეხლავე გატეხილს ვიტყვი—ჩემი „ისრის“ ბრალი სულაც არ იქნება. ნურავინ ნურას დაუშავებს ჩემს „ისარს“ და არავის დაშხამავს.

ასე, ჩემო ბატონებო და ქალბატონებოც!... მართლა! რედაქტორგამომცემი? იკითხავს მკითხველი. ბოლოში მონახეთ რედაქტორი და გამომცემლობას კი „დროება“ კისრულობს. თანამშრომლებსაც არა უშავსთ-რა: რკინის ყვითელი კალამი, რომელიც ინგლისის რკინისაგან არის გამოჭედილი თვით ლონდონის ქალაქში—ტულისა კი ნუ გვგონებათ! შენ ხარ ჩემი ბატონი! ძიდევ... კიდევ ქალაქის სამმართველოები, „მიროვი პოსრედნიკები“, ე. ი. მომრიგებელი შუამავლები, ორიოდ-სამი კალიაზე ნამყოფი ბატონები, ორიოდ-სამივე გლეხი—უკაცრავად კი ამ სიტყვაზე და თანამშრომელზე—და სხ. და სხ., „რათამცა სახელი მათი არის მრავალ“.

მხოლოდ ნუ მაძიწყენ, მკითხველო,—არ მსურს მოწყენილი იყვე,—ნუ! ჩემი გაზეთი პატარაა, მაგრამ... მაგრამ ოქროა, ოქრო!!

ესეც თქვენი წინასიტყვაობა.

ძვირა დღე იყო. ქარზე საშინლად თოვლდა, სულ ფარტენა-ფარტენას ისვროდა; ქარმაც შემოუსისინა, თანდი-თან უმატა-და-უმატა, აიყოლა თოვლი და თვალთა წინ აღარ გამოაჩინა-რა. ჩემი ღარიბი ოთახის კარები და ფანჯრები სულ ერთიან ამომილესა.

ბუნების ბუზიკას—ქარის ბღუილს და ფანჯარასთან ღმუილს ყურს უსმენდი. ერთი სიტყვით ბუნება დიდ მუშტის-კრივში იყო.

„შენი მტერი, ბუქი რომ არ დამდგარიყო, იქნება კიდეც დეეტუსაღებინათ-მეთქი ეს რევოლუციონერი—ქარი“, გავიფიქრე ისე რაღა—მოგეხსენებათ, ჩვენც კაკნი გახლავართ—და მაღლა გავიკინე. სწრაფად გონს მოვედი, შემრცხვა ჩემი თავისა; მივიხედ-მოვიხედე, ხომ არავინ შენიშნა ჩემი გიჟური ღრეჭა-მეთქი, მაგრამ მხოლოდ დედა-კატუნია წამომჯდარიყო სკუპს მუთაქაზე და ხრუტუნებდა. ბუხარი გამიმხიარულდა.

ქარზე არეულობა, შინ მხიარულობა მოგვიტანა ახალმა წელმა-მეთქი. ბუხარს უფრო-და-უფრო შეუმატე, შეუჩინჩხალე.

ამ დროს კარების რაზამ ჩხაკა მოიღო და შემოვიდა ჩემი სული-გული, ჩემი მეგობარი თომა და მომაძახა:

— რას შერები, ბიჭო, რაო? ღმერთს ქათმებს და ბატებს ხომ არა სთხოვ შეჩინჩხალებით, ახალ-წელიწადი კი გავიდა და რაღა დროსია *)?

— ამისთანა ზამათში რამ გამოგიყვანა სახლიდამ?

— აბა, კარგი ეხლაა და! მთელი ბუნება ღელავს, ზღვის ფურთენას წარმოგიდგენს. სხვა, ბიჭო, როგორ დაუხვდი ამ ბავშეს, ახალ-წელიწადს. ნჰა! საყოფი კი სცელა დასაქცევმა ათას რვაას ოთხმოცდა ერთმა. ეს ყმაწვილი ოთხმოცდა ორიც რაღაც-რაღაცეებს ეპირება; ჯერ-ჯერობით ბუნება აგვიჯანყა; ცოტა რაღაც ვითომ და იმედებიც მოაქვს. მაგრამ, ჩემის აზრით, ეს ბავშვი ამ ბუნების აჯანყებით გვატყობინებს, რომ—ჰა! ნუ იცით, თქვენ ქართველებო, ყვირილი და ტყუილი იმედების მიცემა იმ დროს, როცა... რა ჰქვიან?... როცა სუსხიან მინდვრებიდამ ზენა, ანუ ჩრდილოეთ-დასავლეთის ქარი ვისმეს გადმოაგდებს ხოლმე, თორემ მე ვიცი თქვენი... „ბიჭო, თითქო ცხელ-ცხელი კუპატებიაო, ისე შემოუსხდებიან ჩვენ ლამაზს მშობელს. ნახირფაშაც არა სჭამდა ისრე ხარბად ცხელ-ცხელ კუპატებს. ნეტა ამას ბევრნი ვგრძნობთ!?

— მე კი უნდა გითხრა, თომა, რომ ეს წელიწადი რაღაც კარგ თვალზე დავინახე.

— შენ ყველა წელიწადი გაზაფხულის მერცხალი ბგონია! შარშანაც მაგას იძახდი, ეხლაც, და მერე? რაო? რა მოგვეცა ვითომ ჩვენ ქართველებს?

— ვეეო! რატომ არ მოგვეცა: ჭკუა, ჭკუა! ბამოფხიზლება, თავზე ხელის მოსმა, მაშ!! ოჯახლმა მწეევარმა რომ კურდღელი მოგიბრუნოს, დაჭერაში ჩაეთვლებაო... მაცა, იცი რა გითხრა? ნახე პირველი ნომერი ამ წლის „Всемірная Иллюстрація“-სი? დახატულია ძველი ოთხმოც-და-ერთი წელი ხელში უშველებელი ცელით, თავი შუბლიდამ საქოჩრემდინ მოლოპრილი, აქეთ-იქით თმა ყირას შემდგარი, წამწმები ისარივით დაჭიმული—რა საშინელებაა?—თითქო გეუბნება: „ვერ გაეძეხ, ვერ სისხლით“! ხელში უკავია ლამაზი, ხუჭუჭ-ქოჩორა ბავშვი-ეს ოთხმოც-და მეორე წელი.—საბრალოს მშობელი გაბღვერის: „ჰა, ვინძლო მამის კვალზე იარო“! მაგრამ ბავშვი თითქოს ეუბნებაო: „მამე ე ცელი და მე შენსავით წარა-მარაღ არ მოვიხმარ. ერთ ბოროტს რომ ჰკლავდი, ათას მართალს ზედ აკლავდი—შენ ის არა ხარ,

*). ახალ-წელიწადს დიდით სახლის უფროსი სამსე ბუხარს შეუჩინჩხალებს. რასაკვირველია, ნაბერწკლები ბლომად გასტვივა მოკიდებულ მუგუზლებს, და რამდენიც ნაბერწკალი ავარდება, იმდენს ქათამს, ბატს ინატრებს ამ სიტყვებით: „ამდენი ბატი, ამდენი ღორი“ და სხვ.
ავტორი.

ტელეგრამა

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის ხაგენტობა“)

პეტერბურღი, 28 იანვარს. ლაგორიდამ მიღებული ტელეგრამა გვაცნობებს, რომ გერატში ხალხი აჯანყებულა.

უცხო ქვეყნის გაზეთებში სწერენ, ავსტრიის უცხო ქვეყნის საქმეთა სამინისტრომ უკმაყოფილება გამოაცხადა ლენ. სკობელევისაგან წარმოთქმულ სიტყვის თაობაზედაო.

ამბავი მოვიდა, რომ ჩინეთის მოსამზღვრე ჩინოვნიკები ეურადღებას არ აქცევენ რუსეთთან შეკრულ ტრაქტატს და აჩერებენ რუსის საქონლის ქარვანებსაო.

პეტერბურღის ბირჟა, 28 იანვარს.

ბანკის ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი ვამოცემისა—	94—	75
მეორესი— — — —	91—	37
მესამესი — — — —	92—	„
მეოთხესი — — —	91—	25
მეხუთესი — — —	90—	75
აღმოსავლეთის პირვ.—	90—	50
აღმოსავლეთის მეორე	89—	87
აღმოსავლეთის მესამე	89—	87
ოქრო, ½, იმპერიალი	8—	4

შინაგანის 5% სესხი ბილეთები:

	მან.	კაპ.
პირველი სესხის — —	218—	75
მეორე სესხის — —	217—	5

100 მანეთი ღირს:

ლონდონი	— 24—	53	პენსი
ბამბურღი	— 209—	50	ცენტი
პარიჟი	— — 258—	50	სანტიმი

ღღიური

მოგვყავს უფრო დაწვრილებით ის ბაასი ძალაქის რჩევისა, როდესაც მოხდა ამას წინათ ჩვენს გაზეთში მოხსენებული შემთხვევა:

ძალაქის (ნავთლუღის) ნავთის წყაროებზედ იყო სჯა. ბამგეობამ შემოიტანა რჩევაში წინადადება, რომ ამ წყაროების გამოსაკვლეველად საჭირო იქნებაო 15,000 მანეთი, რომელიც ქალაქის ხაზინას შეუძლია ასე შეაესოსო: 6,540 მან. შარშანდელის შემოსავლიდამ მორჩენილ ფულებიდამ, 3000 მან. ამ 1882 წლის შემოსავლიდამ და დანარჩენი 5,460 მან. მომავალის 1883 წლის შემოსავალზე ვიანგარიშოთო. ქალაქის ბამგეობის აზრით, ამ საქმისათვის უნდა მოწვე-

ულ იქმნეს ინჟინერ-ტეხნოლოგი ბ. ს. ტ. ზულიშაგბაროვი და იმასვე მი-ინდოს მიწის საბურღავი მაშინების შეძენა ბაქოში.

ამ დროს წამოდგა ხმოსანი ნ. დ. ზუბალოვი და სთქვა, რომ ეს ძალიან კარგი წინადადებაა და შეიძლება ქალაქისთვის სასარგებლო გამოდგესო, მაგრამ ფულები სადა გვაქსო? შემოსავლიდამ მოარჩება, რამე კარა, ათი ათასი თუმანი დაიკლდება კიდეცო!

„ბასაკვირველია, სთქვა ბ. ზუბალოვმა, რომ რჩევამ წაუკითხავად დაამტკიცა ქალაქის შემოსავალ-გასავლის ანგარიში (სმეტა). სხვათა შორის ქალაქის გამგეობის ანგარიშში ქალაქის სესხი უჩვეულებრივი შემოსავალად არის მოხსენებული. სარგებლით აღებულ ვალს შემოსავალს ეძახიან—ეს უაზრობაა. ეს გალად აღებული ფული ქალაქს არავითარ სარგებლობას არ მოუტანს. დაიხსომეთ ჩემი სიტყვა, რომ ხუთის წლის შემდეგ თქვენ არც ფული გექნებათ, არც საქალაქო სახლი, არც ხიდები, რომლისთვისაც ის ფული ისესხეთ...“

ხმოვანთა მომეტებული ნაწილი ამ სიტყვებს თავის შეურაცხყოფად სთვლის და უკმაყოფილებას აცხადებენ ბ. ზუბალოვზედ. ქალაქის ოვიორჯელ ეუბნება იმას, ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვა უკვე დამტკიცებული არისო და იმაზე ლაპარაკის ნებას ველარ მოგცემო, თუ შეიძლება ნავთის წყაროებზედ ილაპარაკეთ და

რომ ჩემი ტოლი ბავშვები უბრალოდ დაიხეტიალონ? არა, მე შენ მიერ ნაანდერძებ ალმასის ცელს ვიხმარ მარტო ბოროტთ საკლავად. მე ვიქნები მცველი არგელოსი „ჩაგრულთა“... აი ამას ვკით ხულობ მე იმ ბავშვის თვალებში.

—მოჭყე ოცნებას? ერიჰაა! მაგრამ ეხლა ვინ არ ოცნებობს. მეტი ადარა დაგვრჩენია-რა, თუ ბოლომდინ შეგვარჩინეს... დაიცა, ხუმრობას თავი დავანებოთ. ათასი რომ მფარველად გახდეს ეგ შვნი ბავშვი, მაინც ამ ოხერს გულ-საკლავ ერთ ფეროვნულ ცხოვრებას ბწკალს! ვერ შეაგდებინებს. ღმერთო ჩემო! ნეტავი კაცი გარეშემო ბუნებას მაინც ბაძავდეს. შეხედე, რა მრავალ-ფეროვნება სუფევს ჩვენს ტურფა ქვეყანაში! რომ ცეცხლს, ბოკლისა არ იყოს, არ ამოგებერნა, არ ამოეგლიჯნა მიწის გულიდამ, მთები და ბუნება არ ეეჭრელებინა, რა იქნებოდა კაცის ცხოვრება? ძარღვებში სისხლი გაშრებოდა, ოთხფეხებად გადავიქცეოდით. ეს ბუნების შემაცქერლობა გვიფონებს ვულს, გარემოცულს უფერული ცხოვრებით. ბარშემო სულ გაიძვერობა, შური, მტროობა, გაუტანლობა გარტყია; შენი ოთახის კედლებიც კი თვალყურს გადევნებენ, რომ ისარგებლონ დაცდენილის სიტყვით. საითაც გაიხედამ, სულ „დურაჩკას“ თამაშობენ, სულ და სულ! აბა, თუ ბიჭები არიან და ნუ ითამაშებენ, ძალად ნუ მოისულელებენ თავებს, თავის მიზნად ნუ გაიხდიან უვუნურობას? დიახ, მრავლდება უგუნური, უტეინო ხალხი ისე, როგორც სერიოჟა ბისტრიცინს, შრეკ

ნურც იმ გვარ სიტყვებს ხმაროობთ, როგორც „უაზრობაო“ და სხვ.

მაგრამ ბ. ზუბალოვმა მაინც განაგრძო თავის სასტიკი განკიცხვა რჩევის გარდაწყვეტილებისა...

ამ დროს წამოდგა ადგილიდამ ქალაქის გამგეობის წევრი ბ. ა. ა. თამამშევი და კირებისკენ რომ მიდიოდა, იმ სიტყვებით მიმართა ბ. ზუბალოვს, რომელიც ჩვენს გაზეთში უკვე მოხსენებული იყო, ე. ი. „ღირს განა მაგ უვარგისის სიტყვები გაიგონოს კაცმაო“!

* * *

ამ ზემოხსენებულის ქალაქის რჩევაში მოხდარ შემთხვევის გამო, როგორც გავიგეთ, ბ. ნ. დ. ზუბალოვს საჩივარი შეუტანია თფ. სამოსამართლო პალატაში, პროკურორთან, ქალაქის გამგეობის წევრზე ბ. ა. თამამშოვზე, რომ იმან, თანამდებობის აღსრულების დროს, შეურაცხყოფა მომაყენაო.

საქმე იმაშია ახლა—თუ როგორ იგზედავს სასამართლო ამ შეურაცხყოფას: თუ ქალაქის რჩევა სამმართველო ადგილად (პრისუტსტვენნოე მესტო) იცნო, მაშინ ბ. თამამშოვს ამ გვარ ადგილს შეურაცხყოფისათვის მძიმე სასჯელი მოელის, ღირსების ჩამოხდა და სიმბირში გაგზავნა. და თუ სამართველო ადგილად არ იცნეს, მაშინ ისეთი სასჯელი მოელის, როგორც უბრალო შეურაცხყოფისათვის: რამდენიმე კვირით დატუსაღება ანუ რამდენიმე თუმანი ჯარიმა.

* * *

ლრინის გმირს, ღორები უმრავლდებოდა.

—ძალიან კარგი, გამრავლდნენ ბისტრიცინოს ღორებივით, რა გაეწყობა; მაგრამ რას გვიკეთებს კალამი? სულ გული უშხამოთ, სიცოცხლე მოუსწრაფოთ; ისრის წვერით ისეთი წვეთი ჩავაწვეთოთ გულში, რომ თან გაიტანოს. მართალია, ბევრს გეიშლიან უტეინო კაცები: მაგრამ ამის გამო ყველა არ უნდა მიეცეთ უგუნურების ლაფს. იცი? ეგ უგუნურები რომ არ იყვნენ, მე „ისარს“ ველარ გამოვცემდი; ჩემი ისრის დანიშნულება მაგათი შხამვაა. ვისაც ვინ უნდა აქოს, ვისაც რა უნდა ქნასო?—იტყვიან. ვერ მოგართვით; გინდათ კი, რომ ყველანი ღორებად იქცნენ და წუმპეებში წვებოდნენ. ნწუ! მე ამას ვერ მოვითმენ. შენ, ჩემო მეგობარო, სწუხარ: აიესო, აიესო უგუნურებით ქვეყანაო! შე დალოცვილო, ცხვირში თუ მუშტს არ ამოვკრავთ, მაშ წკიპარტი ცხვირში, რომ ცხვირის წვერიდამ ტვინამდინ მწვავმა ელვამ აუსლიკინოს. მართალია, ჩინეთის კედლების დანგრევა მე და შენ არ შეგვიძლიან, მაგრამ ერთ-ორ ლოდს მაინც ავაცლით, ზოგს სხვა, ზოგს სხვა, და წავა ღმერთი გვიშველის. პოეტმაც სთქვა: „თვით ოკეანე ერთად თავმოყრილ წვეთით შემდგარა“. ქეთილი საქმე ნელ-ნელა იზდება... დიახ, ჩვენ მიზნად უნდა დავდოთ იმ ხალხის დევნა, რომლებიც ყველა კარგს, ყველა ჭეშმარიტებას ხელს უცრიან, აყენებენ, წითელ მაუდს ქვეშა სდებენ სასიამებელად თვისის უფროსებისა; რომლებიც თვის მოძმეებს იხდიან ხიდად თავიანთის პირად კეთილ-დღეობისა, თავისი პირუტყული აზრების

აქაური „პირუტყვთ დამცველი საზოგადოება“ საკუთარ ჟურნალის გამოცემას აპირებს, რომელსაც სახელად ერქმევა „**პირუტყვის დამცველი**“. რედაქტორად ამოურჩეიათ ბ. ტრესკოვსკი.

* * *

ფოჩტის გამგეობა აცხადებს, რომ ხაშურისა და ქვირილის სტანციებს შუა რკინის გზის რელსებზე დიდ-ძალი თოვლი დააყარაო და ამის გამო გზა შეკრულიაო, მატარებლები ველარ დადიანო. ბუშინ ფოთიდამ მატარებელი, ამ გზის გაფუჭების გამო, სულაც არ გამოსულა.

* * *

ბაზ. „კავკაზი“ გვაცნობებს, რომ კავკასიის მთავარ-მმართებლის თანამდებობის აღმასრულებელს დაუმტკიცებია „სომხის ქალების ქველ-მოქმედ საზოგადოების“ წესდება.

* * *

თფილისში საშინელი სიცივეები დადგა. ღამე ჰყინავს და დღისითაც ისეთი სიცივე და ქარია, რომ თითქმის მთელი დღე, თუმცა მზეა, მაგრამ ყინვას ვერ ადნობს.

* * *

მეოთხე დღეა დღეს, რაც არც დასავლეთ საქართველოდამ (ქუთაისის მხრიდამ), არც რუსეთიდამ და არც სამხეთ-გარეთიდამ ფოჩტა არ მოსულა ქალაქში. მოდი და ამ გვარ მდგომარეობაში ცხელ-ცხელ ამბებით გავსებული გაზეთი გამოეცა...

შესრულებისათვის... მაგრამ დავანებოთ ლაპარაკს თავი, ეხლა აბა თვალი გადავავლე „ისრის“ პირველი ნომრის მასალებს. ეს ამბები რაა იმათთან, რომლებიც შემდეგში იქნებიან გამოაშკარებულნი; ჯერ ეს ვიკმაროთ. ჰა, წაიკითხე!

—ვნახოთ, სთქვა თომამ და ხმამაღლივ დაიწყო კითხვა:

„ისრის“ კორრესპონდენტია. გორი, 20 იანვარს. ფუი, ეშმაკს! ძლივს დავძლიე ჩემი სიზარმაცე, რომ ორიოდ სიტყვა მეთქვა ჩვენებურ სამმართველოზე. ზოგ-ზოგი ავად-მყოფობის გასაკურნებელ ექიმები პირ სასაქმებელ წამალს მისცემენ ხოლმე. მე კი ისეთი წამალი გამოვიგონე, რომ არც ექიმი უნდა, და, მაშასადამე, არც ფულების დახარჯვა; საჭიროა მხოლოდ შებრძადეთ ბორის სამმართველოში რჩევის დროს და მოუსმინოთ იქაურს ორატორებს. რა საჭიროა, დედის ხსენს არ შეარჩენს, დედის ხსენს, გულის რევით. ადრევე, ოთხმოცდა ერთში, ჩემდა სამწუხაროდ, ორიოდ-ჯერ შეეეთრიე სამმართველოს ზალაში რჩევის დროს. შეველი ჩემ თვალს წარმოუდგა ვილაც ქერა ახალ-გაზდა, რომელიც კათედრას ამოჰფარებოდა, მალი-მალ ცხვირზე ხელს ისვამდა, რომელსაც მოშლილი ბუზიკასავით აბუდღუნებდა.

საქმე მდგომარეობდა იმაში,—როგორც გავიგე ერა ახალ-გაზდას მოხსენებით,—რ... დაეყენონ, თუ არა ბორში პოლკი.

—ბატონებო, თქვენი ჭირიმეთ! ამბობს თაეი, შეხედეთ თქვენს ჯიბეს; სწორედ „ქალაქიდამ გამოსული თავადის ჯიბეს“ გიგავთ; შეგიძლიანთ შენახვა პოლკისა?

თეატრი

ᲓᲠᲐᲛᲐ „ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ“.

ოც-და-ორს ამ იანვარს საზაფხულო თეატრში ჩვენმა აქტიორებმა და აქტრისებმა მეორედ წარმოადგინეს დრამა „სამშობლო“ დრამა გადმოკეთებულია საფრანგეთის მწერალის სარდუს დრამიდგან თ. დავით ერისთავისაგან და შეთანხმებული ქართველთ ცხოვრებას.

შინაარსი დრამისა ყველა ქართველისათვის დიდად შესანიშნავია. მთელი წარმოდგენა გვიხატავს სპარსეთის შაჰ-აბასის საქართველოში დამკვიდრებას, შაჰის უდიერობას, საქართველოს აოხრებას, იმის შვილების, ჩვენ წინაპართ ქართველობის ტანჯულ ცხოვრებას.

ყველა მოქმედებაში კაცი გრძნობს ქართველთ წვალებას, მამულისათვის თავგანწირულობას, სამშობლოს სიყვარულს, იმ მაღალ გრძნობას, რომელიც ყველა ქართველის მკერდში დაუძინარად სცემდა და სულს უდგამდა. სამშობლო იყო სიტყვა, რომელსაც ყველა ქართველი იმეორებდა, როგორც ლოცვას, დღე და ღამე. ქართველი აძლიედა იმას მსხვერპლად თავის სიცოცხლეს, სარჩოს, ანაცვალებდა თავის ოჯახს; იმის სიყვარულზედ იყო დამოკიდებული ქართველთ ბედნიერება. ამ მაღალის გრძნობით იყვნენ აღზრდილნი საქართველოს შვილები. ის იხსენებოდა მაშინ ნამდ-

---

ამ დროს პუბლიკაში გაისმა ლაპარაკი:

—რატომ მაშინ არა ლაპარაკობდა ჯიბის სიცარიელეზე, როცა ასი თუმანი მიუმატეს; ახლა ძაან ყვირის!

ვგონებ ამ ჩურჩულით გამხნევებულმა ერთმა ხმოსანთაგანმა, რომელსაც ხშირ-ხშირად ენის ქავილი თურმე მოსდის ხოლმე, წამოიწყო:

—არ შეიძლება! ძლიან საჭიროა ქალაქისთვინ პოლკი. **Подавай намъ Богъ хоть цѣлый корпусъ**, გვანაგრძო ორატორმა ხელების შლით და პარჭყვით, თითქო კისერი უნდა მოჭგლიჯოს ვისმეო. „ბატონებო, სხვა არა იყოს-რა, სხვას ნურას მიიღებთ სახეში,—ეს აიღეთ, რომ ამ ზამთარს რა ეშველებათ ჩვენს ცოლებს, ჩვენს ქალებს, ჩვენს დებს? როგორ უნდა გაატარონ დრო უაფიცრებოდ, უუჯიცრებოდ? ჰა? მერე სუვორინის კალენდარი ამბობსო, რომ ათას რვაცოთხმოცდა-ორიდამ, სწორედ იანვრის პირველიდამ—სწორედ ესრე სწერიაო თქვენ ნუ დამეხოცებით, ხმოსნებო, ჰო, იანვრის პირველიდამ მარტის გასელამდინ ღამე თურმე დღეში ორ საათსა და ხუთს წამს ნახევარს იმატებსო. ნუ, წადით!! ახლა ზნეობა? თქვე, თქვე ყოველად ბრმანო...

აქ ზარმა შეაყენა გაფიცხებული გულ-დაკოდილი ორატორი. ცხვირ ბუზიკიანი ისრე გაეშტერა ორატორმა, რომ პირი ღია დარჩა და ბუზებმა, ტრიალი დაუწყეს ჩასაფრენად.

„დიახ, ზნეობა რამდენს შეიმატებს ზნეობა!? შას მაგათთან ყველა ზნეობის მოძღვრები.“

აქ აირია მონასტერი. ხმოსნები აყაყანდნენ. მე გული ამერია, სიო გაველ და არ მოუცადე, თუ რა

ელ ქართველად, ვისაც უყვარდა თავისი სამშობლო ქვეყანა. რაც უნდა ერმად ყოფილიყო შეპყრობილი ქალის სიყვარულით, სწრაფლათ შესწირავდა თავის გრძნობას სამშობლოს, თუ ამ მსხვერპლს მოითხოვდა ხალხის ტანჯვა, იმისი შავი ბედი და მტერთ ძლევა.

ამ რიგად ხალხის გრძნობაში სამშობლო ქვეყნის სიყვარულს უპირატესი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე ქალის ანუ სხვა ყოველ გვარ გრძნობასა და სიყვარულს. ესრედ ესმოდათ მამა და დედა-კაცს თავისი მოვალეობა.

როგორც დრამაში სწერია, მაშინდელ ქართველებისათვის სამშობლო იყო აწმყო და მომავალი, იმის სიყვარულით ყველანი გათანასწორებულნი იყვნენ თავადნი, აზნაურნი, ვლეხნი და ბერნი ერთნაირად სწირავდნენ იმისთვის თავსა. სიტყვა „სამშობლო“ იყო ის წმინდა დროშა, რომელსაც დიდი და პატარა სახელის და თავის ერის დასაცველად მამაცად თავს აკლავდენ.

მოქმედი პირნი ამ დრამაში, როგორც ზოგია დიაკვანი, ხამშიაშვილი, ლიონიძე და სხვა, სპარსეთის შაჰისაგან წამებულნი, არიან დაუვიწყანი გმირნი სამშობლოსნი.

ამათ ანაცვალეს თავისი თავი თავის სამშობლოს და გადაარჩინეს სხვა მოძმენი-ქართველნი სიკვდილის.

მართლად, ჩვენი საქართველო შეუსერილია იმის შვილების სისხლით.

ჩვენი პატარა ქვეყანა ბევრჯელ ყოფილა გათელილი ოსმალებისგან, სპარსელებისგან, რომაელებისაგან და სხვა მტრისგან, მაგრამ იმას დაუცავს თავისი სახელი და პატიოსნება.

არც სახრჩობელამ, არც შაჰ—აბასის ბარბაროსობამ, რომელსაც თფილისში შემოაკლდა სახრჩობლის თოკები, არც ცეცხლით დაწვამ, ქართველებს ვერ მოაძულეს თავისი სამშობლო და ვერ შეაყენა ისინი ბრძოლის ველზედ.

ქართველის ცხოვრება შეიცვალა ბევრ ქართველთ გმირების ცხოვრებას, იმათი სახელი უკვდავია და დაუვიწყარი ხალხის გრძნობაში.

ამ დღეს აქტორებმა: ყიფიანმა, მესხიევმა და აქტრისებმა: ხერხეულიძისამ და ზაბუნიამ თავის თამაშობით მოიყვანეს ხალხი აღტაცებაში. ზაბუნია ნიჯიერი აქტრისა არის, მაგრამ ხშირად ავიწყდება, რომ ის სცენაზედ არის და ამითი გმობს ხელოვნების კანონს. ბონიერი და ნიჭიერი აქტორი და იქტრისა უნდა იყოს გამომხატველი ნამდვილი კაცის ცხოვრებისა, ხმა, მიხვრა-მოხვრა (მიმიკა) და თამაშობა უნდა კოლორიანი იყოს და ემსგავსებოდეს იმ პირს, თვისებას, რომლის წარმომადგენელიც არის მოთამაშე.

მიხეილ ბებუთოვმა კი, როგორც რეჟისორმა, თავისი შემწეობით, მისცა დრამას გონიერული მნიშვნელობა.

დაითი ერისთავმა დიდი ღვაწლი დაზდო ჩვენის სცენის რეპერტუარს ამ დრამის გადმოკეთებით. ეველა მაყურებელი ამ დრამისა გამოდის თეატრიდამ დიდის სიამოვნებით...

ხ. ბ.

წერილი რედაქტორთან.

(დასასრული*)

ამასთანავე უადგილო არ იქნება ბ. ანჩხატელს მოვაგონო სიტყვანი განსვენებულის ფ. ალექსანდრე ჯამბაკურიან-ორბელიანისა, რომელიც, სხვათა შორის, სწერს ერთს თავის თხზულებაში (ნახე გვერდი 214):

„რად დავიიწყეთ ის ჩვენი მამა-პაპის კარგი განწყობილი გალობა?.. ბურულებო, ჩვენის სამშობლოს და ენის სადღეგრძელოდ, თქვენ მაინც ნუ დაივიწყებთ ჩვენი მამა-პაპის ეკკლესიურ გალობასა, იმ ღვთის სასიამოვნოს, წყნარს და მშვიდობიან გალობასა“.

სხვა სიტყვები იმავე ავტორისა (იხილეთ იქვე, 226 გვერდზედ):

„ქართველებო, აიღეთ ყიზილბაშური ყიყინზედ, იმის სიმღერის ხმებზედ ხელი! რა შეედრება ჩვენს მამა-პაპის გალობის და სიმღერის ხმებსა, რომელიცა ჩვენი ამოდენი ათასი წლის ხმოვანება მხოლოდ ჩვენი კუთვნილი საკუთარნი გალობანი, სიმღერანი და ლიღინები დაგვიმტკიცებს, რომ ჩვენი საქართველოს და ბერეთის ერნი არიან ძველი ბერიელების შვილისშვილები, ვითარცა პიტალოს ოქროდგან პიტალოს ოქრო გამომრნარი, და ამის შემდეგ გემართებს თავის-მოწონება“.

ეს სიტყვები მისთვის მოვიყვანე, რომ, თუ განსვენებულის ორბელიანის დროს გამქრალი იყო აქ გალობა, ეხლა ამათ საიდგან შეიძინეს? ნუ თუ სული-წმიდა მოვიდა მაგათზედ და მან გააბრძნა ესენი ვითარცა პირველი მოციქულები?.

ბურიაში არსებობდა და არსებობს კიდეეაც ნამდვილი ქართული გალობა, და არც ისე იგალობება ყველასგან, თავის-თავად მოხერხებული როგორც ბრძანებს ბატონი ანჩხატელი.

რაიცა შეეხება ჩვენს საფუძვლიანად ცოდნას საეკკლესიო გალობისა და ბ. ბარბელოვებისას, ამაზედ არას ვიტყვი; სჯას მივანდობ იმისთანა პირებს, რომელთაც ესმისთ გემოიანი და კილოიანი გალობა, და აგრეთვე იმათ, რომელთაც მოისმინეს სიონის სობოროში მწუხრად და წირვაზედ ნინოობის დღეს ამათი გალობა.

ეხლა ვთქვათ უსაფუძვლო ცილისწამებაზედ ბ. ანჩხატელისა: ვითომც ოთხი წელიწადი ვართ აქა და არავისთვის გვისწავლებია. თუ მართლა ეს ასე არის, კომიტეტმა რად გამოგვიცხადა მადლობა 1879 წ. „დროების“ 238 №-ში შაგირდების სწავლისათვის და ნოტებზედ გადაღებისათვის? რისთვის გამოგვიცხადა მადლობა არხიმანდრიტ მაკარიმ იმავე

გათავდა ბაბილონის არეულობა. დილით მითხრეს, რომ ზნეობის დაცვას და აღდგენას ვერ ულალატებთო და მაშასადამეო-ო-ო!...

ერთი ნიმუშიც, ბატონებო! ს მმართველოს წევრი აკლდა; იყარა კენჭი; როგორც ლაპარაკობდნენ, ერგო კენჭი ერთ რიგიან, საქმის მუყაითს და მცოდნე კაცსა. ამ დროს ზალის კარები გაიღება. სურათი!... ს-ში ხმოსანი, ხარ-ბეკ პრტყელნი, პირებ მოფხეკლები, შემობრძანდნენ. ერთს უფრო ახალ-გაზდას, იკაკა მარცხენაში თეფში სამი სტაქანით, მარჯვენაში სველი ხელადა; ტოიტმანობენ; გელადიანი მღერის; ორნი წინ ბარად ბანს ეუბნებიან:

— რატომ ჩვენ არ მოგვიცადეთ, ეოჰ. თქვენი ჭირიმეთ! და სხვ.

ხალხმა მოიხედა. მომღერალმა ხელადა თავის სისწვრივ დაიჭირა და თეფში წინ გაიშვირა.

— რადგანაც მე ფხიზელს ენა რა მაქვს და ამ ჩემმა ამხანაგებმა—ორზე ამიშვერს—ბლავილის მეტი არა იციანრა,—ამიტომ... ამიტომ მოგახსენებთ, რომ ეს სხდომა უკანონოა, და უკანონოა... რადგანაც.... უკანონოა..

აქ ჩაეძინათ; ტრიოს მოჰყვნენ.

მე წამოვედი. დილით ქალაქის თავს თავში ხელი უტაცნია, მინიძრმოინძრევს, ზედვე ადია. ბაქანდება, ორიოდ ხმოსანს დაუძახებს:„—ბაკო, ეს რა მოგვევიდა? ვინც გაიგებს, რას იტყვიან, ჰა? რას? ამოვირჩიეთ წევრად კაცი ენიანი და ჩვენი უენაძე კი ვავაშავეთ. ბალოშებს ვიღა მომართმევს? ხიდს ვიღა გამიკეთებს? მდივანო! გვიხსენ ამ ცეცხლისგან.

— მე... რა... ენის დაბმით უთხრა მდივანმა.

— ჰაა! როგორ თუ! ციც!... აცხა აქედამ, თუ...

— ვაი მე, მიბოძეთ ხელი, ხე... —დასწერ პროტესტს?

— დავსწერ, დავსწერ! მიბოძეთ ხე... ...ლი.

ითქვა, დაიწერა. როგორც უნდათ, ისრე მოქმედობენ; ხან ალმა იზმენ თავს, ხან დალმა; ხან სტატიებით (კანონისა) იხრჩობა თავი, ხან უიმისოთაც.

ჯოხი.

ჩემმა მეგობარმა გაათავა. მე შეეატყე, რომ დაიღმინჭა.

— ერთფერობა არ გიყვარს. ეხლა სხვა წავიკითხოთ. ყური დამიგდე.

„მიროვოი ბოსრედნიკის“, გაზეთიდან ჭკუისკოლოფაშვილის დღიურიდამ:

„1882 წ. ორშაბათი შემდგომ შაბათისა (კვირას სძინებია).

„ოჰ, წუხელის ცოტა მეძინა: შვიდზე დაგიძინე და შვიდზე, დილით, გამოვიღვიძე. თვალებს ველარ ვახელ. ხელის გული მქავა. ჩემი სანჩო ძაან ცაცია, აციცქნის ეისმეს. მე კი ესა მჭირს კარგი, რომ ქრთამის აღება არ მიყვარს, მხოლოდ ჩემი სანჩო თუ..... ოოო, ეხლა, ჩემო ბულკინეიავ, სადა ხარ!..

1882 წ. ორშაბათს შემდეგ სადღეთ უკან სამშაბათი. ხელის ქვეშა სხვაზე აპიხდა. დღეს ერთი გლეხი შემოვიდა; საქმე გამიკეთეო. მაშინ მითხრა, როცა ჩემი ბულკინეიას პატრეტს ვკოცნიდი; ავდექ ურტყი და ურტყი ი გაშუბულ სახეში... ნეტა კი ქართველი არ ვიყო და!.. მაგრამ რითი ვარ ქართველი! ბრიყვები, ჰო და ი ასრე! ასე ჰგონიათ, რაკი „ბოსრედნიკიაო“, უთუოდ და უთუოდ საქმე უნდა გააკეთოსო..... აქნამდინ ვერ გაუგიათ, რომ ნათლია ჩემმა „ბოსრედნიკობა“ მაჩუქა. იმის ნაჩუქარს მე ვერავის მივცემ, არავის ვაკითხებ, თუ რა ნივთია „ბოსრედნიკი“.

„ნარევი“. ლვინის ასადი მნიშვნელობა. „რადგანაც ზოგ-ზოგ სამმართველოებში ერთობ უენო, დაბდური ხმოსნები არიან, ამიტომ ერთ სამმართველოს გადაუწყვეტია, რომ ყველა ხმოსანმა ჯიბით ატაროს ბოთლით ლვინო, ან არა და, უფრო უმჯობესი იქნება, თვით სამმართველომ გამართოს ბახუსისთვინ ბუფეტი“.

ძალიან გვიან მიხვედრილან. იმედია, ლვინოს ფასი დეედება.

მაღაზიები „ბრუკოკებში“. ერთ როგელილაც გაზეთში ამოვიკითხე შემდეგი საყურადღებო ამბავი ჩვენი „ბრუკოკებისთვინ“: ბალია; გახურებული ტანცობაა; შესრულდა ათი საათი: ნაცვალი (старшина) აცხადებს: ეხლა დაიწყობა მასკარადი. ბუთხიდამ, ზალაში, ხმა მოისმის: „—ჰაი აქეთ კაი მასკები, აქეთ!“ შემოეხვევიან მუშტრები ახალგაზდა პენსნიანს ვაჭარს, დაიტაცებენ. წამოდგება გათამამებული ვაჭარი, იგივე წევრი კლუბისა, ხელში უჭირავს მასკები; ვალსს სთხოვს დამას; დაპროწიალდებიან. „—მასკა ალარაა, მასკა!“

— ბახლამს, ბახლამს; ქალო, გამიშვი!.. აი, მანეთ ნახევარია.. ფული გადმომიგდე. მასკებს თურმე პირში დაიჭერს, ცალი ხელით ქალი უჭირავს და ცალს ფულისთვინ იშვერს.

ესეც ახალი სახე ვაჭრობისა. მისაბაძია!!

„ამბობენ“. „ამბობენ, ვითომ თფილისში, თუ ზორში, დიდ-მარხეაში, ერთი პედაგოგი ლექციებს წაიკითხავსო შპიონობის სარგებლობაზე საზოგადოდ და მის პედაგოგიურ მნიშვნელობაზე კერძოდ“.

„ამბობენ: ჩვენი ბუბერნიის ახზნაურთა წინამძღვარი ნატრობსო, რომ ნეტა მაისი დიკარგოსო“.

რას გვემართლება!

„ტელეგრამმა“. ლონდონი, 21 ივნვარს. აქ გავრცელდა ხმა, რომ გამოჩინებული მცარცველი ბ—ის ქალაქის ფულებისა ბ. მ. ტ—ევი ძრიელ ავად არის: ამის გამო მცარცველთა ბირჟაზე არეულობაა“.

მოსკოვი, 22 ივნვარს. ამბობენ, როცა კავკასიის მხარის „ნადელების“ გამოსყიდვაზე და სყიდვის ფასის შემცირებაზე იქნება ლაპარაკი, ბოსრედნიკს ი. ე—ს დანიშვნენ კომმისიის თავსმჯდომარედო.

— ჰო, მალე გაათავებს.

„ბანცხადებანი“. დაიკარგა ძალი—ბულდოლი; მპოვნელს მიეცემა საჩუქრად ორი კარგად მყეფავი ადეოკატი. (2—1)

ჩვენ, ცხინვალის მოსამართლეს, გამომძიებელს და პრისტავს, ყველიერის ხუთშაბათიდამ მარხვის სამშაბათამდე ღილითა და საღამოთი დღეში ორი საათი, ცხინვალის ხიდზე, გვექნება ერთმანერთში კრიები. მაყურებელთ შეუძლიანთ ღილით ათ საათზე გამოვიდნენ და საღამოთი—ხუთზე. (5—2)

გუმცაძე.

1882 წ. ივნვარი.

ვაზეთის 180 №-ში 1880 წ., ანუ რისთვის დასწერა „დროებაშიეგ“ ალექსანდრე ეპისკოპოზმა, რომ შაგირდებს დაასწავლეს გალობა მგალობლებმა და მშვენიერადაც გალობენო? ამასთანავე, საკვირველია, ბ. ანჩხატელი საიდგან მიმხვდარა იმის მიზეზს, რომ ვითომც ჩვენ არ ვასწავლით მისთვის, რომ ჯამაგირს მოგვისპობენო! ჩვენ ეს არასოდეს არ გვიფიქრნია და არც ვიფიქრებთ. ბალობის კამიტეტი გვასწავლებინებდა შაგირდებს სიონის გალავანში, დღეში ოთხ საათს, პირველ ნოემბრის თვემდე 1881 წ. შემდეგ ამისა, სახლის უქონელობისა და უფრო სიცივისა გამო, აღარავინ მოვიდა მოსწავლეთაგანი.

ბ. ანჩხატელი ამბობს: საქმე სულ ჯამაგირის და ფულის აღებაზე ყოფილაო. მაგრამ აგერ ცხრა თვეა, ჩვენ ჯამაგირი არ მიგვიღია, დღედღეზედ გვპირდებიან და შიმშილით ვიხოცებით.

ქართულ გალობის მასწავლებელი
ლოტბარი მელქ. ნაკაშიძე.

თფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დიდის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

ორშაბათს. გარალეკეზი და ლისიცკი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და უმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

სამშაბათს. მინკევიჩი—სირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცკი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და უმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

ოთხშაბათს. ლისიცკი და მირამანოვი შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის ქალების და უმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

ხუთშაბათს. ლისიცკი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და უმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების ავათმყოფობისა.

პარასკევს. მინკევიჩი — სირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცკი, მირამანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და უმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

შაბათს. ლისიცკი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და უმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სუსტის ავათმყოფობისა.

განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება ბრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

მამულის

საერთო მფლობელობაზე

თხზულება

ანტონ ფურცელაძისა

გამოცემული

ზაქარ ჭიჭინაძისაგან.

ფასი თითო წიგნისა **ერთი** აბაზი

ი. **მურადოვის**

წიგნის მაღაზიაში

ქუთაისში

მუდამ არის დამზადებული საკმაოდ ყოველ გვარი სასწავლო წიგნები, რომელნიც კი მოეთხოვებად სავაჟო და საქალებო გიმნაზიებში, სახალხო და სამოქალაქო სკოლებში მოსწავლეთა. არის აგრეთვე დიდ-ძალი სამოსწავლო და სკოლაში სახმარო ნივთები და მოთხოვნილებისა დაგვარად დახაზული რვეულები, ასი—5 მანეთი., მუზიკალური ნოტები, სხვა და სხვა საწერი ნივთები და მასალეები უფრო იაფ ფასად, ვიდრე სხვაგან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა მოთხოვნილებას მაღაზია დაუყოვნებლივ აასრულებს და გამოგზავნის პირველივე წამომავალი ფოშტითა.

(50—50)

ისყიდება

25% ნაკლებ მინამ სხვა ადგგას ჩაი, კაკაო, შეკოლადი, ბისკვიტი, მურაბა, ბრინჯი, ჭურჭლები, სტაქნები, ბაკლები, თეფშები, ჩაინიკები, სუდოკები, ფოდნოსები, ბირის-სასანი, კლიტეები, სამურველი, ტანისამოსის საკიდი, კოვზები, დანები, კალმები, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, კარანდაშები, თოფები, რევოლვერები, კრაგები, ბლაშჩები, ვანები, ქამრები, საუელურები, კლონკა, უნაგირები, ლაგმები, უთოები, ტახტები, ბირისსოტი, ცხვირის-სასოტი, ხულქები, ტუალეტის საპონი, დუხები, შარბათი, ტიტმატმაგნეზია, ქინას ღვინო, ბორტ-ვეინი, ხერესი, კონიაკი და ათასი სხვ. რამეები,—**ინგლისის მაღაზიაში.** იქვე ჩაი გაკურთათვის ნარდათ: ფუთობით 40, 46, 52 და 58 მან. და გირვანქობით: 1 მ., 1 მ. 10 კ., 1 მ. 20 კ., 1 მ. 40 კ., 1 მ. 60 კ., 1 მ. 80., და უპირველი ხარისხისა 2 მ.—წონა უქადაღდოთ.

თოფები 20—60 მან., ჩოკ-ბორ (*choke bore*) *Ceorge Dau*-ს ფაბრიკიდამ—120 მან. რევოლვერები 4—34 მან. და ბულდოგისა 11—20 მ. ქალის უნაგირები 65 მან-დამ.; შეფილდის დანები ჩანგლებით 3 მან. 50 კაპ-დამ დუჟ., ადბომები ნასვვარ ფასად, ფილტრები და სხვ.

ყველაზედ უმრავლესი ამორჩევა თოფებისა და რევოლვერებისა თფილისში.

(100—73)

ი. **და ვ. ჭილაძეთა**

წიგნის მაღაზია

ქუთაისში

ბულვარის პირდაპირ, სობორის გვერდით.

რომელსაც წინედ პ. ფ. ბერარდის მაღაზია ერქვა, დღეიდამ ჩვენს ხელში გადმოვიდა. ვხმარობთ ყოველს ლონის-ძიებას, რომ მაღაზიის საქმე კიდეგ უფრო კარგად წავიყვანოთ ყოველ-მხრივ, ვიდრე დღემდის იყო. იმედი გვაქვს პატივცემული საზოგადოება არა თუ არ მოაკლებს თავის ყურადღებას ამ მაღაზიას, რომელიც მუდამ მისს სიამოვნებას ცდილობდა, არამედ უფრო ყურადღებას მოგვაქცევს ამიერ. მაღაზიას აქვს **ყველა** სასწავლებელთათვის **ყოველ-გვარი სახელმძღვანელო** და **ხელსასყობი.** მრავალი საკითხავი წიგნები ქართული და რუსული, ნოტები და სხვ.

მაღაზია იღებს ხელის-მოწერას ყველა ჟურნალ-გაზეთებზე სარედაქციო ფასით.

(5—5)

დაიბეჭდა, გამოვიდა და ისყიდება

თფილისის წიგნის მაღაზიებში

ი ბ ა ვ - ა რ ა ა ქ ნ ი

ქრილოვისაგან და სიბრძნე-სიცრუიდგან გალექილი თ. რ. ერისთვისა.

(3—3)

ინგლისის მაღაზიაში

ეფილარ-ეფვან

მაკ-ფარ-ლენი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის ბომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. **სჩოტკები** თავის ტკივილის მოსასპობლად, **ტუალეტის საპონი, დუხები** და **სხვ**

(100—85)

ლონდონის მაღაზია კომერციულს ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაიგასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შჩოკებისა, ცხვირ-სასოტისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, საუკრისისა (ეკიმრიული ალეშჩივანი ზეთისა) და სხვ. საგანგებო მაკინტოშის მოსასურავებს განსაკუთრებულ კონკურენციის და ბატკერის და კამბ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭვავნას სიგარები.

(100—70)

ისყიდება

15,000 **თეფში** 1 ხარისხისა, თითო 15 კაპ.

12,000 ბროლის **სტაქანი** თითო 25 კაპ.

10,000 **ბაკალი** და **სტაქანი** თითო 10 კაპ.

10,000 **ფოდნოსი** და გასაღები თითო 15 კაპ.

10,000 ნეესი, 8 კ. 40-მდინ ასი.

10,000 **ჭანალი** თავის პრიბორით თითო 5 კაპ.

5,000 ბოთლი **ბორტვეინისა** და **ხერესის** თითო 1 მან.

2,000 არშინი კლიონკა 60 კაპ. 2 მან. არშინი.

2,000 დიუქინი ყარანდაში და ყალმის ხელი 8 კ. 50 კაპ. დიუჟ.

2,000 გირვანქა ინდოეთის **ბრინჯი** 7, 8, 10 კაპ. გირვ.

1,000 გირვ. თვალთ-მაქცი **ლეშიოშკა** 50 კაპ. გირვ.

600 ინგლისის **რევოლვერი** 4 მან. 34-მდი.

300 ინგლისის **თოფი** თითო 20—100 მან.

დრაპი, მაუდი, ტრიკო, ალბომები, საზამთრო პალტოები, ქუდები, შარვლები და **ტანისამოსი** ნახევარ ფასად. **ინგლისის მაღაზიაში.**

(40—30)

ტაქცია

საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და **დატარებით** 1 **ივნვრიდამ** 1 **თებერვლამდის.**

ბამომცხვარი პური:ხორბლის ფქვილის:

პირველის ხარისხის	—1	გირ.	—
მეორის „	—1	გირ.	3½
მესამის „	—1	გირ.	3 კ.

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:

პირველის ხარისხის	—1	გირ.	6 კ.
მეორის „	—1	გირ.	4 კ.

ჯვარის-მამის პური:

პირველ ხარის.ლავაში	1	ვირ.	7 კ.
მეორის „ „	—1	გირ.	5 კ.
მესამის „ „	—1	გირ.	4½

ძროხის ხორცი:

პირველის ხარისხის	—1	გირ.	11 კ.
მეორის „	—1	გირ.	9 კ.
სუკი — —	—1	გირ.	16 კ.
ცხვრის ხორცი	1	გირ.	11 კ.

ღორის ხორცი:

პირველი ხარისხის	—1	გირ.	11 კ.
მეორის „	—1	გირ.	10 კ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 29 Января 1882 г. Типографія С. Меликова. გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მ[illegible]